ეკონომიკური ტრანსფორმაციები სამხრეთ კავკასიაში

ანზორ აბრალავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ-ს სრული პროფესორი
ბეჭა ჩხეიძე
სტუ-ს დოქტორანტი

XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან დაწყებული მსოფლიო საზოგადოებრივი ეკონომიკური ტრანსფორმაციები მტკივნეულად წარიმართა.

კატაკლიზმების ეპიცენტრში აღმოჩნა კავკასიის რეგიონიც, რომლის სამხრეთშიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კურსი აირჩია სამმა რესპუბლიკამ – საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა. ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში გამძაფრდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და რუსეთის ფედერაციიდან გამოსვლისაკენ სწრაფვა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩეჩნეთის ცნობილი მოვლენები და ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება ჯოხარ დუდაევის მმართველობის პერიოდში.

ყოველივე ამის შედეგად წარმოიშვა მასშტაბური, ხშირად ინსპირაციული ხასიათის, პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის პრობლემები.

მიუხედავად არსებული წინააღმდეგობებისა, დღის წესრიგში დადგა საერთო კავკასიური და პირველ რიგში კავკასიური რეგიონული თანამშრომლობის, ფართო ინტეგრაციისა და ინსტიტუციური სტუქტურული უზრუნველყოფის საკითხი, როგორც შორს გამიზნული ისტორიული განვითარების პროცესით მოტივირებული, მომავალზე ორიენტირებული, სწრაფი გარღვევის სტრატეგიული კურსის შემუშავებისა და განხორციელების თემა.

აუცილებელია შესაბამისი იდეოლოგიურად უზრუნველყოფილი და მოტივირებული, გაბედული და არაორდინალური ამოცანების დასმა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

სამხრეთკავკასიური ერთიანობა უნდა გახდეს მძლავრი და გადამწყვეტი ფაქტორი საერთოკავკასიური ერთობის. ორივე შემთხვევაში წინა პლანზე უნდა დადგეს ეკონომიკური მიმართულება. სამივე რესპუბლიკამ თამამად უნდა დაძლიოს წინააღმდეგობრივი ფაქტორები, დასაბამი უნდა მიეცეს ერთობლივ მონაწილეობას მნიშვნელოვან პროექტებში და შეიქმნას ერთიანი ეკონომიკური გარემო ევრპულ სივრცესთან ჰარმონიზებული საერთო კანონმდებლობის საფუძველზე. ეს იქნება სხვა სფეროებში არსებული წინააღმდეგობების დაძლევისა და კონფლიქტების მოგვარებისაკენ მიმართული გზა რამეთუ კავკასიაში გაძლიერდება მაიდენტიფიცირებელი ფაქტორები, უპირველესად, კავკასიელობის განცდა და მის საფუძველზე სრულიად ახალი მძლავრი ეთნიკური, პოლიტიკური და სოციოკულტურული იდენტურობის შინაგანი მუხტი.

სამხრეთკავკასიური ინტეგრაციის თემა ახალი არ გახლავთ. თუ ადრე მის სხვადასხვა ფორმაზე საუბრობდნენ (მაგალითად, საუბარი იყო ე.წ. „ამიერკავკასიის შეერთებული შტატების", კავკასიის საერთო სახლის და ა.შ. შესახებ), ცხადია, რომ საომარმა მოქმედებებმა ეს მიმართულება მნიშვნელოვნად შეაფერხა. წარმოიშვა მისი ახალ ვითარებაში, მსოფლიო გლობალური და ლოკალური თანამედროვე ტენდენციების რაკურსით გააზრების აუცილებლობა.

დღეს კავკასიაში თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები ჩნდება, რომლებიც არა იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც ეკონომიკურ საფუძველს ეყრდნობა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ხერხდება ერთიანი კავკასიური რეგიონული ეკონომიკური სივრცის შექმნა.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში რეფორმების მიმდინარეობის ძირითადი მიმართულება და დეკლარირებული პრინციპები მსგავსია. თუმცა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სისტემის რეფორმირება განსხვავებული გზებით ხორციელდება.

როგორც თავად კავკასიის, ისე მის გარშემო განლაგებული სახელმწიფოების ინტერესები, განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით, მეტად მრავალფეროვანია. რუსეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, კავკასიური პრობ-

ლემატიკის გადაჭრაში თავის მნიშვნელოვან როლს თურქეთიც ასრულებს.

უკანასკნელ პერიოდში, ნათლად გამოიკვეთა, რომ კავკასიაში დომინანტობის პრეტენზია სწორედ რუსეთსა და თურქეთს გაუჩნდათ. თუმცა, რეგიონში როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად ძლიერდება ევროკავშირის გავლენა.

არა მარტო ეკონომიკური, არამედ ზოგადად პოლიტიკური და სხვა სახის დაპირისპირება კავკასიისათვის ახალი არ არის. ჯერ კიდევ ძველი რომისა და საბერძნეთის დროიდან, შავი ზღვა და კავკასია სახელმწიფოთა გავლენის მასშტაბის გაფართოების სერიოზული პოტენციალის მატარებელი გახლდათ.

სამხრეთ კავკასია მათ შორის, განვითარებადი ბაზარია, რომელსაც ეკონომიკური ზრდის მაღალი პოტენციალი და ენერგეტიკული და სატრანპორტო კვანძები გააჩნია. 186 ათას კმ^2 ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს უკავია, 16,5 მლნ ადამიანი ცხოვრობს და 2010 წელს, 100 მლრდ აშშ დოლარზე (მიმდინარე ფასებში) მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი იქნა წარმოებული, რაც საშუალოდ, მოსახლეობის ერთ სულზე მიმდინარე ფასებში 6 ათასს შეადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ უკანასკნელი 9-10 წლის განმავლობაში ზრდა არნახულია, თუ 2000 წლისათვის მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 651 დოლარი იყო, დღეისათვის ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 6,1-ჯერ გაიზარდა. რაც შეეხება მთლიანი მშპ-ს (მიმდინარე ფასებში), სამივე სახელმწიფოს მონაცემებით, საშუალოდ 6,4-ჯერ გაიზარდა, აქედან, ზრდის მაჩვენებლით აზერბაიჯანი ლიდერობს (გაიზარდა 8,2-ჯერ).

კავკასია ევროკავშირისათვის რამდენიმე ფაქტორის გამოა ძალიან საინტერესო. აშშ და ევროპა ცდილობენ როგორც სპარსეთის ყურის, ასევე, რუსეთის ენერგორესურსების ალტერნატიული წყაროები მოიძიონ. პოლიტიკური ნება, რომლის საფუძველიც ეკონომიკურ ინტერესებში უნდა ვეძიოთ, აისახა იმაში, რომ კავკასია მნიშვნელოვანი ენერგონაკადების გზაჯვარედინებზე აღმოჩნდა. კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობა მყიფეა, რამეთუ ევროპისა და აშშ-ის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები რუსეთის ინტერესებთან დისონანსში მოდის. 2008 წლის აგვისტოს ომი, რუსეთის გააქტიურება სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობების მოწესრიგების მიმართულებით, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ რუსეთის ეკონომიკური და უმთავრესად პოლიტიკური ამბიციების ზრდა კავკასიის რეგიონში ძალთა სერიოზულ გადანაწილებას მოასწავებს.

მიუხედავად ე.წ. „გადატვირთვის პოლიტიკისა", რომელსაც აშშ-ის ადმინისტრაცია ახორციელებს, ცხადია, რომ როგორც ევროპა, ისე აშშ-ი ცდილობენ ალტერნატიული სატრანსპორტო მაგისტრალები არ აღმოჩნდეს რუსეთის ხელში, რათა რუსეთმა არ აღიდგინოს ის მონოპოლიური მდგომარეობა, რომელიც მას წლების წინ გააჩნდა, როდესაც ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, როგორც რუსული, ისე ცენტრალური აზიისა და კასპიის ენერგომატარებლების ევროპაში ტრანსპორტირების ერთადერთი გზა რუსეთზე გადიოდა.

რუსეთის დღემდე პრიორიტეტულ მდგომარეობას ხელს ისიც უწყობს, რომ რუსეთის ენერგოგზების ალტერნატიული, სამხრეთ კავკასიური გზის გასწვრივ სამი კონფლიქტური კერაა, აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოში და მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანში, რაც რეგიონული სატრანზიტო გზების განვითარებაში ინვესტორთა ინტერესს აშკარად ამცირებს და რისკებს სერიოზულად ზრდის.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, კავკასია დანარჩენი მსოფლიოსათვის და განსაკუთრებით ევროკავშირისათვის, ისევ და ისევ სატრანსპორტო გამტარის ფუნქციის გამოა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. კავკასია რესურსებით მდიდარი ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა და რესურსებზე გაზრდილი მოთხოვნის მქონე ევროპას შორის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზაა.

რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა უნიკალურია. სწორედ გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა დაედო საფუძვლად საქართველოს ინიციატივას, „დიდი აბრეშუმის გზის" საქართველოს გავლით აღდგენაზე. ცხადია, „დიდი აბრეშუმის გზის" ამბიცია გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ნავთობის ტრანზიტი. რეალურად, ამ გზამ მსოფლიოს ახალი ეკონომიკური გიგანტი – ჩინეთი – ევროპას უნდა დააკავშიროს.

სატრანსპორტო გამტარის სრულფასოვანი ფუნქციონირება მჭიდროდ უკავშირდება სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის განვითარებას, ამასთან, დიდია მისი პოლიტიკური მნიშვნელობაც. ამ სატრანსპორტო არხის განვითარებამ შეუწყო ხელი შუა აზიისა და ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე ე.წ. „სამხრეთის დემოკრატიული სახელმწიფოების სარტყელის ფორმირების" იდეის შემდგომ სრულყოფასა და მსოფლიო ბაზარზე ალტერნატიული გამტარის ჩამოყალიბებას.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე „გადასვლის" არანაირი არც თეორიული, და მით უფრო, არც პრაქტიკული გამოცდილება არ არსებობდა. ყველაზე მიახლოებული, თუმცა მაინც რადიკალურად განსხვავებული, გზა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში განხორციელებული რეფორმები იყო, რომლის შედეგად შეიქმნა სოციალური საბაზრო მეურნეობის წარმოუდგენლად წარმატებული „გერმანული სასწაულის" სისტემა.

შემდგომში ეკონომიკური რეფორმების ორი რადიკალურად განსხვავებული გზა გამოიკვეთა, რომელთაგან ერთი „ბალცეროვიჩის გეგმის" სახით პოლონეთში, ხოლო მეორე კი ჩინეთში განხორციელდა.

სამხრეთ კავკასიიის სამივე სახელმწიფოში დღემდე კამათობენ, შეიძლებოდა თუ არა რეფორმების ჩინური გზის განხორციელება. თუმცა, სამივე ქვეყანამ რეფორმების იდეოლოგიად „პოლონური გამოცდილების რუსული ვერსია" გამოიყენა.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, რუსეთის ანალოგიურად და პარალელურად დაიწყო „შოკური თერაპიის" გამოყენება, რაც გულისხმობდა ფინანსურ სტაბილიზაციას, ფასების ლიბერალიზაციას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, ზომიერი საგადასახადო სისტემის დანერგვას და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას.

მაგრამ ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა რეფორმატორებმა არ გაითვალისწინეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, კერძოდ, არც ერთ კავკასიური სახელმწიფოს ხელისუფლებას, იმ ეტაპზე, არ ჰქონდა არანაირი რეალური მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, მათ შორის, არ გააჩნდა არც საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა, საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების რეალური ბერკეტები. ამდენად, ნაცვლად ამ ინსტრუმენტების ჩამოყალიბებაზე ზრუნვისა, ხელისუფლება მოუმზადებლად იწყებს „შოკური თერაპიის" განხორციელებას, რამაც ობიექტურად გამოიწვია „ქირურგია ანესთეზიის გარეშე".

საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა უწევდა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება ერთდროულად უნდა მომხდარიყო, ამიტომ, ცხადია, რომ შეცდომები რეფორმირების გზაზე ბევრი იყო.

იმის გამო, რომ არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალება არ იძლეოდა ამ პროცესების დამოუკიდებლად წარმართვის საშუალებას, სამივე სახელმწიფომ დახმარებისათვის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, უპირველეს ყოვლისა კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს მიმართა. ამდენად, ამ ქვეყნებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ზემოგანხილულ წანამძღვრებთან ერთად, პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო საფინანსო წესრიგის განმსაზღვრელმა ორგანიზაციებმა. ამ ორგანიზაციების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როგორც მეთოდური-მეთოდოლოგიური, ისე ფინანსური დახმარება და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფალთა მეტ-ნაკლებად კოორდინირებული ქმედებები.

კავკასიის სამივე სახელმწიფოში ჩატარდა ფასების რეფორმა (რეალურად, გათავისუფლდა ყველა ფასი იშვიათი გამონაკლისის გარდა ე.წ. „რეგულირებად სფეროებში"), განხორციელდა მიწის რეფორმა (სამწუხაროდ, მიწის პრივატიზაციამ ყველა ქვეყანაში, რეალურად, მიწის დაქუცმაცება, ტექნიკური საშუალებების გარეშე დატოვება და ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება გამოიწვია), პრივატიზაცია და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია.

მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა ინსტიტუციური თვალსაზრისით. უპირველესად ეს იყო გასვლა რუსული რუბლის ზონიდან და საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა შექმნა (საქართველოში ჯერ ეროვნული ბანკის კუპონის, ხოლო 1995 წლიდან, ლარის შემოღებით; სომხეთში – დრამის, ხოლო აზერბაიჯანში მანათის შემოღებით, კავკასიის სამივე სახელმწიფომ კურსი აიღო დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ფორმირებისაკენ). დიდ წილად განხორციელდა საბანკო სფეროს პრივატიზაცია (პრაქტიკულად, პრივატიზებულია ყველა ე.წ. სახელმწიფო კომერციული ბანკი, გარდა აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკისა).

დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი იყო შედარებით ოპტიმალური საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება. გადაიდგა ნაბიჯები საგადასახადო და საბაჟო სისტემების ოპტიმიზაციისკენ.

ერთ-ერთი სერიოზული მიმართულება, რომელიც საყურადღებოა არა მხოლოდ ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებისათვის, არამედ მათი ევროკავშირთან დაახლოებისათვის, ეკონომიკის

ინსტიტუციური სისტემის სათანადო ტრანსფორმაცია.

რეფორმების პირველ წლებში, სერიოზული კონსულტაციების და დახმარების შედეგად, დაიწყო ევროპულთან მიახლოებული მარეგულირებელი ინსტიტუტების ფორმირება. საქართველოში შემდგომ რეგულაციების მინიმუმამდე დაყვანა მოხდა, რამაც ქვეყანა ევროპულ მიზანს დააშორა.

ცხადია, ეკონომიკური რეფორმები გრძელდება, თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძირითადი „ხერხემალი" ფორმირებულია.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მდიდარი რესურსული უზრუნველყოფის გამო, აზერბაიჯანის რესპუბლიკას შედარებით მეტი შესაძლებლობა აქვს სოციალურ სფეროზე დიდი სახელმწიფო დაფინანსება გამოყოს. ამიტომ სომხეთსა და საქართველოში, შეზღუდული რესურსების პირობებში, აქცენტი სწორედ ინსტიტუციურ რეფორმებზე უნდა გაკეთდეს.

რეგიონული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ერთმანეთთან ინტეგრაციას. ამ კუთხით, განსაკუთრებით რთულია სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ფონზე ინტეგრაციის ალბათობა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხეთიცა და აზერბაიჯანიც დსთ-ის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მონაწილეები არიან, ინტეგრაციის გარკვეული ალბათობა მაინც არსებობს. იმისათვის, რომ ინტეგრაცია უფრო ეფექტიანი იყოს, აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის დაცვა, უპირველეს ყოვლისა, ესაა ადამიანთა, საქონლისა და რესურსების თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა.

საქართველოს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც აქვს გადაადგილების ანალოგიური რეჟიმი, თუმცა, სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთმანეთთან მიმოსვლა არა აქვთ. ამასთან, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელეშკრულება დადებული აქვს ორივე მეზობელთან, რაც დამატებითი გადასახადების (ანუ საბაჟო გადასახადის) გარეშე ექსპორტისა და იმპორტის შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა, არის კიდევ რამდენიმე წინაპირობა, რომლის შესრულება, ექსპერტთა აზრით, ინტეგრაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს:

- გადასახდების გამოთანაბრება;
- საბიუჯეტო სუბსიდიების გაუქმება;
- ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია;
- სტანდარტების უნიფიცირება;
- სოციალური დაცვის სისტემების კოორდინაცია;
- ბაზრის რეგულირების მსგავსი მექანიზმების დანერგვა;
- საფინანსო და საკრედიტო სტრუქტურების კოორდინაცია.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. აღნიშნული რეფორმები მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს.

ქვეყანაში განხორციელებული ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად ჩამოყალიბდა ეფექტიანი, პროფესიონალური და გამჭვირვალე საჯარო სამსახური.

ეკონომიკის დერეგულირებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი სფეროების რაოდენობა და გამარტივდა რეგულირების პროცედურები.

ამ მიმართულებით საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა – საგადასახადო სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია ევროპაში. მნიშვნელოვნად არის შემცირებული გადასახადების როგორც რაოდენობა 21-დან 6-მდე (2004-2008), ასევე, საგადასახადო განაკვეთები. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით დღეისათვის მოქმედებს ექვსი გადასახადი, მათ შორის 5 საერთო სახელმწიფო და 1 ადგილობრივი:

საერთო-სახელმწიფო გადასახადები: საშემოსავლო, მოგების, საბაჟო, დამატებული ღირებულებისა (დღგ) და აქციზი;

ადგილობრივი გადასახადი: ქონების გადასახადი.

საბაჟო რეფორმა – საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით მნიშვნელოვნად გამარტივდა საბაჟო პროცედურები. საბაჟო ტარიფების რეფორმის შედეგად, გაამარტივდა და შემცირდა საგარეო ვაჭრობასათან დაკავშირებული ხარჯები.

მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, დამკვიდრდა "ერთი სარკმლის" და "დუმილი

თანხმობის ნიშანია" პრინციპი.

ტექნიკური რეგულირების სისტემის რეფორმა – საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისა და მომსახურებისათვის ტექნიკური ბარიერების მოხსნა საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

შეღავათიანი საგარეო-სავაჭრო რეჟიმები - საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რასაც ქვეყნის ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკაც უწყობს ხელს.

საქართველოში მოქმედებს შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები:

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი – დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან (2008 წლის 1 ნოემბრიდან);

„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" (MFN) – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან;

პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP) – აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან;

GSP+ – ევროკავშირთან (7200 სახეობის პროდუქციაზე) 2005 წლიდან.

საქართველოს 33 ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო 32 ქვეყანასთან – ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების თაობაზე.

მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) მოლაპარაკებების დაწყების თობაზე.

ცხადია, რთული იქნება კავკასიის სამ სახელმწიფოში მოქმედი მოდელიდან საერთო მოდელის შერჩევა, თუმცა, ალბათ, უმჯობესია, თუ ასეთ საერთო მიზნად ევროპული კანონმდებლობა და ევროპული რეგულაციები იქნება ამორჩეული. შესაბამისად, კავკასიური ინტეგრაცია შემდგომ კავკასიის სახელმწიფოების ევროინტეგრაციას შეუწყობს ხელს.

ECONOMIC TRANSFORMATIONS IN SOUTH CAUCASIA

ANZOR ABRALAVA
Doctor of Economic Sciencies,
Full Professor of GTU
BEKA CHKHEIDZE
PHD Programme Student, GTU

There are new cooperation trends in Caucasia that are based on the economic background rather than on political one. But integrated Caucasian economic space has not been shaped yet.

Regional development of the three states of south Caucasia and their integration is of special importance. From this point of view the probability of integration of Armenia-Azerbaijan is a disputable case. Taking into account that they are the members of CIS free trade agreement, there still remains the possibility of the mentioned integration. Effective integration requires meeting some preconditions most essential of them being support of free movement of people, goods and resourses.

Obviously , it will be difficult to single out the preference of the models functioning in the three Caucasian states. However the best choice will be European legislation and European regulations. Hence Caucasian integration will foster further Erointegration of the three Caucasian states.